ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4637393

ნომერი: AR1700554

თარიღი : 13.08.2019

გაცემის თარიღი : 19.08.2019

გაცნობის თარიღი : 05.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭანტურია , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭანტურია , N12-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინე შარაშენიძე პ/ნ 01030006843
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 70

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "პროფესია" კოდი: 204544975

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 13 აგვისტოს №AR1700554 განცხადებით მომართა ირინე შარაშენიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა განმცხადებელს ქალაქ თბილისში, ჭანტურიას ქუჩა N12; ქალაქი თბილისი, ქუჩა ჭანტურია, N12-ის მიმდებარედ, №01.15.04.008.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის მე-5 სართულზე ღიობის მოწყობასთან დაკავშირებით წერილობითი დასტურის გაცემაზე.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილების ტექსტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განცხადების თარიღი და ნომერი „2019 წლის 04 ივნისის AR1685814“-ის ნაცვლად დაფიქსირებულია „2019 წლის 11 აპრილის AR1674383“. ასევე ითხოვს შინაარსის ცვლილებას.
სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2019 წლის 04 ივნისის AR1685814 განცხადებით სამსახურს მომართა მიხეილ შამათავამ და მოითხოვა №01.15.04.008.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის მე-5 სართულზე ღიობის მოწყობასთან დაკავშირებით წერილობითი დასტურის გაცემა.
სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილებით განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და განემარტა, რომ 2019 წლის 04 ივნის AR1685814 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ირღვევა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნები (30-ე მუხლი - მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების მოთხოვნები სამეზობლო საზღვრის მხარეს).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში განცხადების თარიღთან და ნომერთან დაკავშირებით, შინაარსის უცვლელად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილებაში და აღნიშნული გადაწყვეტილების ტექსტში ჩანაწერის - „2019 წლის 11 აპრილის AR1674383“-ის ნაცლვად დაფიქსირდეს - „2019 წლის 04 ივნისის AR1685814“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 ივნისის №4531846 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.